

ინფორმაცია სადოქტორო სკოლის მათემატიკის მისაღები ტესტის შესახებ

სადოქტორო პროგრამებით დაინტერესებული აპლიკანტი ვალდებულია ჩააბაროს მათემატიკის მისაღები ტესტი. ტესტის მიზანია განსაზღვროს აპლიკანტის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მზაობა.

მათემატიკის მისაღები ტესტი არის ინგლისურენოვანი და მოიცავს რაოდენობრივსა და კრიტიკული ანალიზის ტიპის კითხვებს.

რაოდენობრივი კითხვები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- არითმეტიკა
- ელემენტარული ალგებრა
- გეომეტრიის ზოგადი ცნებები
- საბაზისო ცოდნა ალბათობაში
- კალკულუსის ზოგადი ცნებები (წარმოებულის ჩათვლით)

ამ ტიპის კითხვები ამოწმებს აპლიკანტის ზოგად მათემატიკურ უნარ-ჩვევებსა და ელემენტარული მათემატიკური კონცეფციების ცოდნის დონეს, ასევე რაოდენობრივ ანალიზის, რაოდენობრივი ამოცანების ამოხსნისა და გრაფიკული მონაცემების ინტერპრეტაციის უნარებს. ცოდნა, რომელიც საჭიროა მოცემული კითხვების დაძლევისთვის, მოიცავს საშუალო სკოლის მათემატიკის საგნის კურიკულუმით გათვალისწინებულ მასალას.

კრიტიკული ანალიზის ტიპის კითხვები ამოწმებს აპლიკანტის ანალიტიკურ უნარ-ჩვევებს არგუმენტაციის, არგუმენტების შეფასების, მოქმედების გეგმის ფორმულირებისა და შეფასების მიმართულებით.

მათემატიკის ტესტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით.